საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 5122
30/10/2019

5122-09-2-201910301606

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გეგზავნებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადებული დაზუსტებული განმარტებითი ბარათი განსახილველად.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახური

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 2062
30/10/2019

2062-09-3-201910301455

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს

ქალბატონ მაგული კუნჭულიას

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის

დაზუსტებული განმარტებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბერს N2010 განკარგულებით მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 500000 (ხუთასი ათასი ლარი), რომელიც მიიმართება მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე 90590 ლარი და არსებული ხიდების რეაბილიტაციაზე 404910 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში შესული ცვლილებით საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ოქტომბრის N2125 განკარგულებით შემცირდა გზების რეაბილიტაციის ხარჯი 1337 ლარით.

ააიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის მომართვის საფუძველზე სამსახურს მიზანშეწოლილად მიაჩნია, რომ ოფისის ხარჯის 570 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 570 ლარით. ააიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო საამღზრდელო ცენტრის სახელფასო ფონდის 24000 ლარის შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 21200 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 2800 ლარით. განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოხსენებითი ბარათის გათვალსიწინებით შემცირდეს კულტურის ღონისძიებების პროგრამა 600 ლარით (050202 ორგ. კოდი), ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა (0503 ორგ.კოდი) 1203 ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სპორტული ღონისძიების პროგრამა (050102 ორგ.კოდი) 1803 ლარით.

სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის მომართვის საფუძველზე შემცირდეს ბიკარბონატული ჰემოდიალეზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობის დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის (060201 ორგ.კოდი) 1000 ლარით და გაიზარდოს ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა

(060214 ორგ.კოდი) 1000 ლარით. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა გაიზარდოს 10000 ლარით.

ააიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს საქონელი და მომსახურების ხარჯი 45000 ლარით, ასევე ააიპ კეთილმოწყობისა და დასუფთავების ხარჯი გაიზარდოს დასუფთავების ღონისძიების საქონელი და მომსახურების მუხლის 40000 ლარით, შპს ქალთა საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთი“-ს დაფინანსება გაიზარდოს 15000 ლარით;

მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯი გაიზარდოს 13000 ლარით.

ზემოთ აღნიშნულის ღონისძიებების (ხარჯების) დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნეს ჯარიმების, სანქციების და საურავების შემოსავლის გეგმის 110000 ლარით და არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურების გეგმის 13000 ლარით გაზრდის ხარჯზე.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური